„მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტი უსამართლო კომერციულ საქმიანობასთან მიმართებით“

ლია კვარაცხელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად კერძო (ბიზნეს სამართალი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.[1]

ლია კვარაცხელია

25/06/2024 წელი

[1] ჯანაშია ს., და სხვები , *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის,სტატიის,დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის"* თბილისი:2011 ,56.

სარჩევი

Contents

□□□□□□□□□□ 3

□□□□□□□□□ 1

1.□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ 5

1.1 □□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□□□□ (□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□) 6

1.2.□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ 7

□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□ 8

2.1 □□□□ □□□□□ □□□□□□□□□□□□□□? 11

2.2 □□□□□□□□□□□□□□, □□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□ 12

3.□□□□□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□ 14

4. □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□ 19

4.1 □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□ 21

4.2 □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□ 24

5 . □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□ 26

5.1. □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ (□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□□)..... 27

5.2. □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ 30

5.3. □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□..... 32

6. □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□..... 34

6.1 □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□ 34

6.1.1. □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ 36

6.2.2. □□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□. 38

6.1.3 □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□..... 39

7.□□□□□□□□□□□ □□□□□□□□..... 42

8. □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ 44

9. □□□□□□□□□ (□□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□□□□□□) 46

□□□□□□□□□□

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი თანამედროვე გამოწვევების პარალელურად, ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს უსამართლო კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული

საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელთა კატეგორია არ არის ცალკე შემოსაზღვრული და მთელ საზოგადოებას მოიცავს , რამეთუ მომხმარებელი არის თითოეული ადამიანი, მომხმარებელთა სამართალი ადამიანის ძირითადი უფლებების , თავისუფლებების , თანასწორობის და სოციალური სამართლიანობის კონტექსტში განიხილება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ ღონისძიებებს მრავალმხრივი სარგებელი აქვს, პირველ რიგში , იგი ემსახურება მომხმარებლების უფლებების დაცვას, მაგრამ ამავე დროს უფრო ღრმა ანალიზი აჩვენებს, რომ მომხმარებელთა სამართალი მრავალი მიმართულებით არის საინტერესო და სარგებლის ფართო სპექტრს მოიცავს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დაწესება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტია , ვინაიდან ბაზარზე მონაწილე პირთა თანასწორობა ბაზრის სტაბილურობის წინაპირობაა. ამავე დროს უსამართლო კომერციული საქმიანობის რეგულირება ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის სრული და უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა სხვა მრავალი სიკეთის მომტანია საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის.

საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში ჰქონდა მცდელობა მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო რეგულირების, მაგრამ პირველი მცდელობა გარკვეული ხარვეზების გამო ეფექტური არ აღმოჩნდა, ხოლო ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უკვე რეალური ნაბიჯების გადადგმა გახდა საჭირო აღნიშნული მიმართულებით. შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი ახალია და მისი მთავარი საკითხების და პრაქტიკის ანალიზი მეტად საინტერესო .

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის , აღსრულების მექანიზმების ეფექტურობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის აქტუალური საკითხების კვლევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავდა საკანონმდებლო ბაზის, სამეცნიერო ლიტერატურის და ევროკავშირისა და ქართული პრაქტიკის მიმოხილვას.

საძიებო სიტყვები : მომხმარებელთა უფლებები ;უსამართლო კომერციული საქმიანობა; კომერციული პრაქტიკა.

Abstract

Along with the modern challenges, issues related to the protection of consumer rights are significant. Matters related to unfair commercial activities are especially relevant. Since consumer relations have great importance in the everyday life of society. Especially considering that the circle of consumers covers the overwhelming majority of society. Protection of consumer rights is a priority issue in any developed society, which is determined by the wide area of relations and diversity of issues. Consumer law is considered in the context of basic human rights, freedoms, equality and social justice.

Regulation of unfair commercial activity and protection of customer rights are great benefits to the state, since a healthy economic environment and competition help businesses to develop a good trade practice.

Georgia shares the mentioned achievement of democracy and takes a step towards the protection of consumer rights, which is reflected in the adoption of the Law of Georgia on the Protection of Consumer Rights following the requirements of the EU directive. Since this law is a novelty in the Georgian legal space, it is necessary to research its actual issues and analyze the practice.

The present work serves to study the actual issues regarding the protection of consumer rights, compliance with challenges and regulations with each other. The research is also conducted using the methodology of judicial practice, legal analysis and review of normative material.

Key search words: consumer rights, unfair commercial practice